საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჟ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.03.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 010/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. გ.-ის /სიითი № / მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 04 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჟ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წელს მისი უძრავი ქონება გარკვეულ პირთა მიერ დაიტვირთა იპოთეკით, შემდეგ მოხდა მისი რეალიზაცია და 2013 წელს ჟ. გ. გამოასახლეს უძრავი ქონებიდან. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატ თ. გ.-ს და 2017 წლის 17 ივლისს, მან ადვოკატს გაუფორმა რწმუნებულება (სანოტარო აქტი N 170805769). ადვოკატი 2 წლის განმავლობაში ინფორმაციას აძლევდა საჩივრის ავტორს, რომ მიმართა სასამართლოს და დავა ჟ. გ.-ის სასარგებლოდ დასრულდა, ამასთან ქონების ღირებულება ჩაერიცხებოდა საჩივრის ავტორს ანგარიშზე. ჟ. გ. ადვოკატის რჩევით ხშირად მიდიოდა ბანკში და ამოწმებდა თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას, თუმცა ანგარიშზე თანხა არ იყო, ადვოკატი კი სხვადასხვა მიზეზს ეუბნებოდა ამის თაობაზე. საბოლოოდ,

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის წარმოიშვა უთანხმოება და ჟ. გ.-მ გადაწყვიტა თავად მიემართა სასამართლოსთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით. სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ, 2020 წლის 22 ივნისს, საჩივრის ავტორს ეცნობა, რომ სარჩელი არ იყო წარმოებაში მიღებული და შესაბამისად, არ არსებობდა მის სასარგებლოდ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან ურთიერთობის განმავლობაში, მოპასუხე მხარეებმა გაასხვისეს მათი ქონება, რის გამოც ჟ. გ.-ს არ აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

1.3 ჟ. გ. მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედებებით მიადგა ზიანი, რის გამოც მოითხოვს ეთიკის კომისიისგან შესაბამის რეაგირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. გ.-მ 2021 წლის 23 აპრილს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას და მის პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებს.

2.2 ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, წლების წინ ის მუშაობდა ---ის რაიონულ სასამათლოში და ჟ. გ.-ს იცნობდა ---ის რაიონულ პროკურატურაში მუშაობის დღიდან. ადვოკატ თ. გ.-ისთვის ტელევიზიით იყო ცნობილი, რომ ჟ. გ.-ს გარდაეცვალა შვილი და ისინი ცხოვრობდნენ კინო საქართველოს მდებარე კორპუსში. ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, ის გლდანში, მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ჟ. გ.-ს, მოიკითხა და მიიპატიჟა თავის ოფისში. ჟ. გ.-მ მოუყვა ადვოკატ თ. გ.-ს თავისი ბინის პრობლემების შესახებ და სთხოვა მას დახმარება. კერძოდ, ჟ. გ.-ის საცხოვრებელი ბინა დატვირთული იყო იპოთეკით, ახლობელი ხ. მ.-ის შუამავლობით. ადვოკატმა ჰონორარის გარეშე გაუწია საჩივრის ავტორს დახმარება.

2.3 ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, ჟ. გ.-მ მას მისცა ხ. მ.-ის ტელეფონის ნომერი, რომლითაც უკავშირდებოდა ხ. მ.-ს. შეხვედრების და სატელეფონო საუბრების შემდგომ, ხ. მ.-მ თავისი შვილის, მ. მ.-ის საკუთრებაში არსებული ბინა, რომელიც დატვირთული იყო შპს „მ. თ.-ის“ სასარგებლოდ იპოთეკით, 2017 წლის 23 თებერვალს გადაუფორმა ჟ. გ.-ს საკუთრებაში. ხ. მ.-მ აიღო ვალდებულება დაეფარა დარჩენილი დავალიანება. მან რამდენჯერმე გადაიხადა თანხა, შემდეგ ჟ. გ.-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ხ. მ. მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ადვოკატი რამდენჯერმე მივიდა „თ.-ში“ და ითხოვა დავალიანების შეჩერება ხ. მ.-ის განთავისუფლებამდე, თუმცა უარი განუცხადეს, მათ მოითხოვეს მცირედი თანხის შეტანა ან ბინის გაყიდვა, რისთვისაც შესთავაზეს შუამავლები. ფულის გადახდაზე ჟ. გ.-მ უარი განაცხადა, ასევე უარი განაცხადა ბინაში გადასვლაზე პირობების არ არსებობის გამო. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, დავალიანების დაგროვების გამო დაიწყო სააღსრულებო წარმოება, რაც ჟ. გ.-ისთვის ცნობილი იყო, ისევე როგორც ცნობილი იყო, რომ მისი ბინა გაიყიდა აუქციონზე 2017 წლის 5 დეკემბერს. ამის შემდეგ ბინის შემძენის შვილი დაუკავშირდა ადვოკატ თ. გ.-ს და ნივთების გატანა მოსთხოვა სახლიდან. ადვოკატმა ურჩია საჩივრის ავტორს, რომ საცხოვრებლად გადასულიყო სადავო ბინაში, რათა მისი უფლებები უკეთ ყოფილიყო დაცული.

2.4 ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, უძრავი ქონების შემძენმა განცხადებით მიმართა აღსრულების

ეროვნულ ბიუროს, რის შემდეგაც გამოიტანეს ჟ. გ.-ის ნივთები ბინიდან და შეინახეს ---ში მდებარე ავტოფარეხში, რაც ჟ. გ.-ისთვის ცნობილი იყო. ამის შემდგომ ჟ. გ.-ს ნივთები ჩაუტანეს ქ. ---ში, მის საცხოვრებელ ბინაში. ადვოკატმა სარჩელი შეიტანა ადმინისტრაციულ წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში, აუქციონის ბათილად ცნობის მოთხოვნით. ბაჟის გადაუხდელობის გამო სასამართლომ სარჩელზე დაადგინა ხარვეზი. ჟ. გ.-მ გადასცა ადვოკატს თავისი ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც წარადგინა ადვოკატმა სასამართლოში და მოითხოვა ბაჟის გადავადება, თუმცა სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ჟ. გ.-ს არ უნდოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

2.5 ადვოკატ თ. გ.-ის განმარტებით, მან ასევე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს --- განყოფილებას სადაო ბინის და მოძრავი ნივთების საკითხთან დაკავშირებით. ადვოკატი ასევე დაუკავშირდა ხ. მ.-ის შვილს, რათა დედისთვის შეეტყობინებინა, რომ ჟ. გ.-ს გაუყიდეს ბინა და ის კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა. ადვოკატმა მოსთხოვა მას, რომ ჟ. გ.-ისთვის თანხა გადაეხადათ, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა. ხ. მ.-ის შვილმა ადვოკატთან საუბარში განმარტა, რომ ელოდებოდა გარკვეული თანხის მიღებას, რის შემდეგაც ის ამ თანხას საჩივრის ავტორს ჩაურიცხავდა. სწორედ აღნიშნულის გამო ამოწმებდა ჟ. გ. საბანკო ანგარიშზე თანხას.

2.6 ჟ. გ. ხშირად მიდიოდა ადვოკატთან ოფისში და 1 წლის განმავლობაში კლიენტს ადვოკატთან არანაირი პრეტენზია არ გასჩენია. საჩივრის ავტორს ადვოკატის მიმართ მხოლოდ 2021 წლის მარტში გაუჩნდა პრეტენზია. ადვოკატ თ. გ.-ის განცხადებით, მან გამოიჩინა კეთილი ნება და სრულიად უსასყიდლოდ დაეხმარა ჟ. გ.-ს. რაც შეეხება დამდგარ შედეგს, აღნიშნული არ არის ადვოკატის ბრალეულობით გამოწვეული.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. გ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ჟ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 04 მარტს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2017-2020 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. გ.ი-მ არ აცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის თაობაზე კლიენტს, დაარწმუნა საჩივრის ავტორი, რომ სასამართლოში დავა მის სასარგებლოდ დასრულდა და საბანკო ანგარიშზე დაერიცხებოდა საცხოვრებელი ბინის რეალიზაციით მიღებული თანხა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

5.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში უზრუნველყოს კლიენტის სასარგებლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. რაც გულისხმობს კლიენტის სახელით ყველა იმ მოქმედების განხორციელებას, რაც საჭირო და აუცილებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატი ვალდებულია ინფორმირებული ყავდეს კლიენტი ყველა იმ მოქმედების შესახებ, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი. კლიენტის ინფორმირება არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას პროცესუალური მოქმედებების შესრულების შესახებ, კლიენტს შინაარსობრივად უნდა ესმოდეს მათი მნიშვნელობა, რათა შეეძლოს შესაძლო შედეგების გაანალიზება.

5.4 ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ" (ეთიკის კომისიის 29.10.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10).

5.5 „კლიენტისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება მძიმე დისციპლინურ გადაცდომას განეკუთვნება, ვინაიდან ის არამარტო კონკრეტულ კლიენტს აზიანებს, ასევე აზიანებს ადვოკატის პროფესიას. შეუძლებელია საზოგადოებაში არსებობდეს ნდობა ადვოკატის პროფესიის მიმართ, თუ არსებობს აღქმა, რომ ამ პროფესიის წარმომადგენლები არასწორ ინფორმაციას აწვდიან კლიენტებს მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ, რეალურად არ ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც კლიენტების წინაშე აიღეს და არ იცავენ მათ უფლებებს" (ეთიკის კომისიის 14.02.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №034/17).

5.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატის მიმართ არასწორი ინფორმაციის მიწოდების

ვალდებულების დარღვევაში მდგომარეობს. ამასთანავე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არამარტო არაინფორმირებულობას, ასევე ადვოკატის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევას ჰქონდა ადგილი, რადგან მას 2 წლის განმავლობაში არასწორ ინფორმაციას აწვდიდა.

5.7 მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ადვოკატს სასარჩელო წარმოების გზით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის განჩინების მიხედვით 2017 წლის 29 დეკემბერს ჟ. გ.-ის წარმომადგენელმა თ. გ.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვა: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 05 დეკემბრის A--- განკარგულების ბათილად ცნობა. ამავე კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით, სასარჩელო განცხადებაზე დადგენილი იქნა ხარვეზი და მოსარჩელეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენილა 100 ლარის ოდენობით 7 დღის ვადაში. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2018 წლის 09 იანვარს. 2018 წლის 15 იანვარს ადვოკატმა თ. გ.-მ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო ხარვეზის შევსება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 იანვრის განჩინებით მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 5 დღის ვადით. აღნიშნული განჩინება მოსარჩელე მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 23 იანვარს ფოსტის მეშვეობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიიჩნია, რომ ჟ. გ.-ის საჩივარი არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში, ვინაიდან საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 24 იანვრიდან, შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა დასრულდა 2018 წლის 29 იანვარს, აღნიშნულ ვადაში კი მოსარჩელე მხარემ არ წარადგინა განცხადება განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე.

5.8 ადვოკატმა სასამართლოში სარჩელით მიმართვის გარდა, კლიენტის სასარგებლოდ განახორციელა სხვა მოქმედებები. კერძოდ, კლიენტის თხოვნით დაუკავშირდა ხ. მ.-ს, რომელსაც იპოთეკით ჰქონდა დატვირთული შპს ,,მ. ო. თ.-თან“ ჟ. გ.-ის საკუთრებაში არსებული ბინა; მიმართა „მ. ო. თ.-ს“ დავალიანების გადავადების მოთხოვნით; მიმართა შსს-ს --- განყოფილებას სადავო ბინის და მოძრავი ნივთების საკითხთან დაკავშირებით.

5.9 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მისთვის უცნობი იყო 2018 წლის 30 მარტს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შედეგი, რადგან ადვოკატი მას არასწორ ინფორმაციას აძლევდა. ჟ. გ.-ის განმარტებით მან მხოლოდ 2020 წლის 20 ივნისს შეიტყო თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მიღებული შედეგი, როდესაც სასამართლოდან გამოითხოვა აღნიშნული განჩინების ასლი.

5.10 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის განჩინებით ირკვევა, რომ ხარვეზის შესავსებად დადგენილი განჩინება 2018 წლის 23 იანვარს ჩაბარდა მოსარჩელე მხარეს - ჟ. გ.-ს. შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის სავალდებულო წესის შესახებ. საჩივრის ავტორი არ მიუთითებს

და ასევე არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მან ადვოკატს გადასცა ან თავად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა. ადვოკატი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორს არ სურდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების არსებობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის და სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორების შესახებ, რაც გამორიცხავს ჟ. გ.-სა და ადვოკატ თ. გ.-ის შორის შეთანხმების არსებობას სასამართლოში დავის გაგრძელების თაობაზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორს არ უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ სასამართლო გააგრძელებდა სარჩელის განხილვას სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე და ამ პროცესში ადვოკატი გააგრძელებდა მონაწილეობას.

5.11 ასევე, მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ თ. გ.-ის მხრიდან კლიენტის შეცდომაში შეყვანის ფაქტი, საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას დაპირდა ის პირი, რომლისგანაც გადაიფორმა უძრავი ქონება ჟ. გ.-მ, თუმცა მან დანაპირები არ შეასრულა. შესაბამისად, თანხის ჩარიცხვა არ იყო სასამართლოში წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებული. აღნიშნულ გარემოებას გამორიცხავს ასევე სარჩელში განსაზღვრული მოპასუხე და სადავო საგანი, ვინაიდან მოპასუხე მხარე იყო თბილისის სააღსრულებო ბიურო, ხოლო დავის საგანი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ასეთ პირობებში და დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იყო მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ მოპასუხე მხარის მხრიდან საბანკო ანგარიშზე საცხოვრებელი სახლის რეალიზაციით მიღებული თანხის ჩარიცხვა.

5.12 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მხრიდან არ დასტურდება ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატის მხრიდან ჟ. გ.-ისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებისა და გარკვეული ინფორმაციის მიწოდებისგან თავის არიდება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №010/21 ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/